



ნიკოლოზ მჭედლიშვილი

სამუშაო გამოცდილება

პრეზიდენტის მრჩეველი – დეკემბერი 2016-დღემდე

ICC Georgia, www.icc.ge

თბილისი, საქართველო

ვიცე-პრეზიდენტი – მაისი 2015 -დეკემბერი 2016

ICC Georgia, www.icc.ge

თბილისი, საქართველო

ძირითადი მოვალეობები

ICC Georgia-ს წევრი კომპანიების ინტერესების დაცვა და ლობირება მუშაობა რეგულაციებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ საქართველოს ბიზნეს-გარემოზე.

ვიცე-პრეზიდენტი, მარკეტინგი & პიარი – მარტი 2014-ნოემბერი 2016

Petrocas Energy Group; www.petrocasenergy.com

თბილისი, საქართველო

ძირითადი მოვალეობები

პასუხისმგებელი ჯგუფის მარკეტინგული სტრატეგიის შემოშვებაზე და შესრულებაზე.

კარგი სამუშაო ურთიერთობების დამყარება ქართულ მედიასთან, პრესკონფერენციების მოწყობა რეპორტიორებისათვის.

ქართული წარმოშობის მილიარდერის დავით იაკობაშვილის სახელით გამოსვლები სპიკერის რანგში.

ჯგუფის წევრ კომპანია "გალფის" მარკეტინგული კვლევის შემუშავება და განხორციელება

მთავრობასთან ურთიერთობა, ჯგუფის ინტერესების ლობირება

კორპორატიული საკითხებისა და კომუნიკაციების დირექტორი სამხრეთ კავკასიაში – თებერვალი 2013-თებერვალი 2014

Japan Tobacco International; www.jti.com

თბილისი, საქართველო

კორპორატიული საკითხებისა და კომუნიკაციების მენეჯერი სამხრეთ კავკასიაში – აგვისტო 2011-თებერვალი 2013

Japan Tobacco International; www.jti.com

თბილისი, საქართველო

ძირითადი მოვალეობები

რეგულაციების მონიტორინგი თამბაქოს სფეროში სამხრეთ კავკასიის სამივე ბაზარზე - საქართველოში, აზერბაიჯანში და სომხეთში.

აქტიური ურთიერთობა სამხრეთ კავკასიის მთავრობებთან, იმისათვის რომდაცული ყოფილიყო JTI-ს ინტერესები , გავლენამოგვეხდინა რეგულაციების შემუშავებაზე ინდუსტრიის ინტერესების გათვალისწინებით .
შემუშავებულ იქნა აქციზური სტრატეგია სამივე ბაზრისათვის .
შემუშავებულ იქნა საგარეოსაკომუნიკაციო სტრატეგია და წარმატებით იქნა განხორციელებული .

პრემიერ-მინისტრის პრეს-სამსახურის უფროსი – თებერვალი 2010-აგვისტო 2011

საქართველოს მთავრობა პრემიერ-მინისტრის ოფისი - www.government.gov.ge
თბილისი , საქართველო

ძირითადი მოვალეობები

პრემიერ-მინისტრის პრეს-კონფერენციების ორგანიზება .

პრემიერ-მინისტრის სპიკერის მოვალეობის შესრულება და განცხადებების კეთება მთავრობის სახელით .

შევექმენი მთავრობის ახალი ვებ-გვერდი - www.government.gov.ge.

კორესპონდენტი – აგვისტო 1997-დეკემბერი 2009

Thomson Reuters, კავკასიის ბიურო , www.reuters.com
თბილისი , საქართველო

ძირითადი მოვალეობები

პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების გაშუქება კავკასიაში .

სამხრეთ კავკასიის მთავრობების ეკონომიკური პოლიტიკის გაშუქება .

რეგიონის საინვესტიციო გარემოს გაშუქება .

ეკონომიკის კორესპონდენტი – მარტი 1995-აგვისტო 1997

გაზეთი "რეზონანსი" , www.resonancedaily.com
თბილისი , საქართველო

ძირითადი მოვალეობები

გაზეთის სამთავრობო კორესპონდენტი .

ეკონომიკის გაშუქება და ანალიზი .

განათლება

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი (გრენობლის ბიზნეს-სკოლა, საფრანგეთი) - 2008-2011

სერთიფიკატი საერთაშორისო ურთიერთობებში და ეროვნულ საფრთხილობაში – 2003-2004

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევების ფონდისა და მოწინავე ამერიკული კვლევების ფონდ RAND Corporation-ის ერთობლივი პროექტი

ფიზიკის მაგისტრი (წითელი დიპლომი) – 1986-1991

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისის 77-ე საშუალო სკოლა – 1986-1991

ვერცხლის მედალი

სხვადასხვა სახის სერთიფიკატები კორპორატიულ საკითხებში, ფინანსებში, საერთაშორისო ფინანსებში, ლიზენდინგში, ჯენევიდან, პარიზიდან, ვენიდან და სხვა..

უცხო ენები

ინგლისური (თავისუფლად)

რუსული (თავისუფლად)

პირადი პროფილი

ძალიან მეგობრული, ადამიანებთან ადვილად ვამყარებ კომუნიკაციას
მიყვარს სიახლეები, ახალი პრობლემების გადაჭრა
ვკითხულობ წიგნებს, მიყვარს მოგზაურობა, ფოტოგრაფია მაქვს მუსიკის საუკეთესო კოლექცია

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის

ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე

ნიკოლოზ მჭედლიშვილის

სამოტივაციო წერილი

გამოვხატავ ღრმა პატივისცემას „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრების მიმართ და ამ წერილში გამოვხატავ ჩემს მზადყოფნას კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში დავიკავო გენერალური დირექტორის თანამდებობა, რაც, ჩემი აზრით, დიდი და სასარგებლო ცვლილებების მომტანი უნდა გახდეს მაუწყებლისათვის გამომდინარე იქიდან, რომ ვგეგმავ დიდი ცვლილებებს ამ ორგანიზაციაში.

მინდა მოგახსენოთ, რომ მაქვს 14-წლიან გამოცდილება ჟურნალისტიკაში მუშაობის, ვიყავი გაზეთ „რეზონანსის“ ეკონომიკური კორესპონდენტი, და ასევე 12 წელი ვმუშაობდი მსოფლიოს უდიდესი საინფორმაციო სააგენტო Thomson Reuters-ის კავკასიის ბიუროს კორესპონდენტად. აქედან გამომდინარე, ვიცნობ კარგად საქართველოში მომუშავე ჟურნალისტებს და ვიცი მათი პრობლემები, მუშაობის სტილი, რა არის გამოსასწორებელი, რა მიმართულებებია დასახვეწი და რა უნდა შეიცვალოს მაუწყებელში, რომ ის იქცეს თვისობრივად ახალ ტელევიზიად.

„საზოგადოებრივი მაუწყებელი“ დიდი ორგანიზაციაა და მის მართვას სჭირდება არ მარტო ჟურნალისტური გამოცდილება, არამედ ძალიან კარგი მენეჯერული უნარები, კომუნიკაციის ნიჭი, რათა ის იყოს კარგად მართული ორგანიზაცია, სადაც ნიჭიერი, ამბიციური, შემოქმედი ჟურნალისტები მუშაობენ. ასეთ ადამიანებთან ყოველდღიური ურთიერთობა კი დიდი პასუხისმგებლობაა და დიდ გამოცდილებას მოითხოვს.

ვფიქრობ, რომ ეს გამოცდილებაც გამაჩნია. ვიყავი პრემიერ-მინისტრის პრეს-სამსახურის უფროსი, და სპიკერი, შემდეგ, გადავედი ბიზნესში და მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კომპანიის JTI-ს კავკასიის ოფისის დირექტორი გახდი. ბოლოს კი ვმუშაობდი Petrocas Energy Group-ის ვიცე-პრეზიდენტად, რომელიც საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი დამსაქმებელია თავისი რამოდენიმეათასიანი გუნდით.

წლების განმავლობაში ვიყავი არჩეული „საერთაშორისო სავაჭრო პალატის“ ვიცე-პრეზიდენტად საქართველოში, რომლის სათაო ოფისიც პარიზშია და მსოფლიოს ყველაზე დიდ ბიზნეს-პალატას წარმოადგენს. ამჟამად ვარ ამ ორგანიზაციის (ICC Georgia) პრეზიდენტის მრჩეველი საქართველოში.

მსოფლიო შევიდა სწრაფი განვითარებისა და ცვლილებების ფაზაში. დღეს კალიფორნიის Silicon Valley-ს ქალაქებში, პატარა რობოტებს შეხვდებით, რომლებიც ქუჩაში ფეხებში „გაგებლანდებიან“. აქ მსოფლიოს ტექნოლოგიური გიგანტები ხელოვნურ ინტელექტზე მუშაობენ. ჩვენთვის უკვე ხელმისაწვდომია უიაფესი განათლების ჰაბები - Udacity, edX, Coursera, Udemy, Alison, რომლებიც აქ დაიბადნენ „სტარტაპების“ ფორმით. ჩვენ კი სად ვართ? ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მოგვიცილებია 90-იან წლების ტყვიების ნაკვალევი „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ კედლებიდან. ამ ორგანიზაციას აქვს ძალიან დიდი პოტენციალი მივიდეს ხალხის გულებამდე კიდევ უფრო ახლოს. მე ვგულისხმობ „ხალხის გულებამდე“ როგორც გადატანითი, ასევე პირდაპირი მნიშვნელობით. თქვენ მკითხავთ, როგორ? დამიძახეთ და მოგახსენებთ.

ერებს აქვთ თავიანთი სიმბოლო-კომპანიები. ამერეკელებს აქვთ CNN, Apple, Google, და სხვა. ბრიტანელებს BBC, Reuters, BP, BA, Range Rover. ჩემთვის „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკის სიმბოლოა. მინდა, რომ ის გაცილებით უფრო კარგი გახდეს და ხალხთან უფრო ახლო დადგეს.

მე მაქვს ძალზედ კონკრეტული და დროში ზუსტად გაწერილი გეგმა რა გარდაქმნები უნდა მოხდეს „საზოგადოებრივი მაუწყებელში“ რათა ის უფრო საინტერესო გახდეს მაყურებლისა და მსმენელისათვის. ეს გარდაქმნები უნდა შეეხოს, ჟურნალისტურ, შემოქმედებით ნაწილს, მენეჯმენტს და ტექნოლოგიებს.

დიდი იმედი მაქვს, რომ მე გადავალ მეორე ტურში და საშუალება მომეცემა პირადად შეგხვდეთ და დეტალურად გაგაცნოთ მაუწყებლის განვითარების ჩემი კონცეფცია.

პატივისცემით

ნიკო მჭედლიშვილი

25.12.2016